# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

26 ივლისი, ხუთშაბათი, 1990 წ.
№ 140 (10309) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## ნონა გაფრინდაშვილი, სი ცზიუნი და...

### ორი პრეტენდენტი ცნობილია

**კუალა-ლუმპური.** ერთი ტურიც და დამთავრდება ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონატის საზონათშორისო ტურნირი. პრეტენდენტთა შეჯიბრების საგზური უკვე განაღდებული აქვთ ნონა გაფრინდაშვილსა და ჩინელ სი ცზიუნს. ისინი 12,5-12,5 ქულით სატურნირო ცხრილის უმაღლეს საფეხურზე იმყოფებიან. მომდევნო ადგილებზე არიან: ნინო გურიელი — 11,5 ქულა, იუგოსლაველი მარიჩი — 11 ქულა და აშშ-ს წარმომადგენელი ახშარუმოვა — 10,5 ქულა.

როგორც ხედავთ, მესამე საგზურის მოპოვების დიდი შანსი აქვს გურიელს, რომელიც ბოლო ტურში ახშარუმოვას ხვდება. შეჯიბრების დებულების თანახმად, თუ მეტოქეები თანაბარ ქულებს დააგროვებენ, მესამე პრეტენდენტის ვინაობას მათ შორის მატჩი გაარკვევს.

**ბოლო, მეჩვიდმეტე ტურში გაფრინდაშვილმა გაიმარჯვა და 13,5 ქულით I ადგილი დაიკავა. მეორეა სი ცზიუნი (12,5 ქულა). 12-12 ქულით დაასრულეს ტურნირი გურიელმა და მარიჩმა. მესამე პრეტენდენტის ვინაობას მათი დამატებითი მატჩი გადაწყვეტს.**

## დიანა დარჩია უძლიერესია



**აშშ-ის** ქალაქებში მიმდინარეობდა მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში სხვადასხვა ასაკის გოგონათა და ჭაბუკთა შორის. 14 წლამდე გოგონათა ტურნირში პირველი ადგილი ჩვენმა თანამემამულემ, ბათუმელმა დიანა დარჩიამ დაიკავა. მან 11 შესაძლებლიდან 10 ქულა მოაგროვა.

12 წლამდე გოგონათა ასპარეზობაში მონაწილეობდა 10 წლის სოხუმელი რუსუდან გოლეთიანი, რომელმაც III-IV ადგილები გაიყო.

**სურათზე: დ. დარჩია**

## კეთილი ნების თამაშები

SEATTLE '90 GOODWILL GAMES

## საგანგებო შემთხვევა სიეტლში

**სიეტლი.** ამ უსიამოვნო ინციდენტის ამბავი მთელმა ამერიკამ გაიგო: დღისით, მზისით გაქრა საბჭოთა ჰოკეისტთა ნაკრები გუნდის ფორვარდი სერგეი ფეოდოროვი. ამბობენ, რომ მას მოლაპარაკება ჰქონდა დეტროიტის პროფესიულ კლუბთანო, ამბობენ იმასაც, რომ კლუბის ხელმძღვანელებს სურდათ მისი გადაყვანა, ოღონდ ოფიციალური გზით და კანონის ყველა წესის დაცვით.

სერგეი ფეოდოროვის ადგილსამყოფელი ჯერჯერობით უცნობია. კეთილი ნების თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ბობ უოლშმა დანიშნა პრესკონფერენცია, ოღონდ იგი გაიმართება მას შემდეგ, როცა რაიმე ახალ ამბავს გაიგებს. ამერიკის საიმიგრაციო სამსახურის თანამშრომელმა კი ოფიციალურად განმარტა, რომ მის უწყებას განცხადება ფეოდოროვისაგან არ მიუღია. ერთი სიტყვით, ამ სკანდალურ ისტორიაში ბევრი რამ არის გაუგებარი.

მძლეოსანთა ტურნირზე, ბოლოს და ბოლოს, მსოფლიო რეკორდიც გაუმჯობესდა. 23 წლის ჩერეპოვეცელმა ნადეჟდა რიაშკინამ 10 კილომეტრზე სპორტულ სიარულში 41.56,21 აჩვენა, რაც შესამჩნევად უკეთესია ავსტრალიელი კერი სექსბის ძველ მსოფლიო რეკორდზე (42.25.2). სექსბის ამჯერად მეორე ადგილი დარჩა (41.57,22). გამარჯვებულს იგი 250 მეტრით ჩამორჩა.

მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესებაზე ოცნებობდა ამერიკელი შვიდჭიდელი ჯეკი ჯოინერ-კერსიც. იგი თითქოს ახლოს იყო კიდეც მიზანთან, მაგრამ ხელი შეუშალა... ქარმა. ქარი კი „ხასკის" სტადიონის მუდმივი სტუმარია. იგი ხან დასაშვებ ფარგლებში უბერავს, ხან კი ზომაზე მეტად და აშკარად უშლის ხელს მოასპარეზეებს. საქმე ისაა, რომ სტადიონი სამი მხრიდან ტრიბუნებითაა გარშემორტყმული, მისი ერთადერთი ღია მხარე კი ვაშინგტონის ტბას ებჯინება. აი, სწორედ ამის გამო, სტადიონზე გამუდმებით უბერავს ქარი ერთი მიმართულებით, რაც ხშირად უარყოფითად (ზოგჯერ კი დადებითადაც) მოქმედებს შედეგებზე.

რეკორდის გაუმჯობესება სცადა სიმაღლეზე მხტომელმა ელენე ელესინამაც, მაგრამ მან ჯერ გაინაღდა პირველი ადგილი 202 სანტიმეტრით, მერე კი 206 სანტიმეტრს (საკავშირო რეკორდს) შეუტია. სამწუხაროდ, მიზანს ვერც მან მიაღწია.

### მედლები

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| აშშ | 31 | 31 | 21 |
| სსრკ | 25 | 27 | 21 |
| გდრ | 11 | 5 | 10 |
| კუბა | 3 | 1 | 1 |
| გფრ | 2 | 3 | 3 |
| ესპანეთი | 2 | 1 | 1 |
| პოლონეთი | 2 | — | — |
| დანია | 2 | — | — |
| ჩინეთი | 1 | 2 | 2 |
| იტალია | 1 | 2 | 1 |
| ჰოლანდია | 1 | 1 | 4 |
| უნგრეთი | 1 | 1 | 1 |
| კანადა | 1 | — | 2 |
| ჩსფრ | 1 | — | — |
| სურინამი | 1 | — | — |
| მექსიკა | 1 | — | — |
| იამაიკა | 1 | — | — |
| ავსტრალია | — | 3 | 2 |
| რუმინეთი | — | 2 | 1 |
| ბრაზილია | — | 1 | 1 |
| ეთიოპია | — | 1 | — |
| კენია | — | 1 | — |
| ინგლისი | — | — | 1 |
| ირლანდია | — | — | 1 |
| იაპონია | — | — | 1 |

იხ. მე-2 გვ.

## მშრალი ანგარიშით

**ნორკროსი** (აშშ). ჩოგბურთელ ქალთა ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული გუნდური ტურნირი ფედერაციის თასის გათამაშებაა, რომელიც ამერიკის ამ ქალაქში დაიწყო. საბჭოთა გუნდის (ნატალია ზვერევა, ლეილა მესხი და ლარისა სავჩენკო) პირველი მეტოქე გახლდათ ბრაზილიის ნაკრები.

გუნდის მწვრთნელმა ერთეულთა შეხვედრებში ზვერევა და მესხი დააყენა. პირველმა მოუგო კლაუდია ჩაბალგოიტეს — 6:1, 6:1, მესხმა კი ანდრეა ვიერა დაამარცხა 6:7, 6:1, 6:2. ზვერევა ამ დღეს ერთხელ კიდევ გამოვიდა მოედანზე ლარისა სავჩენკოსთან ერთად. ამ დუეტმა აჯობა ჩაბალგოიტე—ლუჩანო კონსატოს წყვილს 6:2, 6:1. საბოლოოდ, საბჭოთა გუნდმა მეტოქე მშრალი ანგარიშით დაამარცხა 3:0.

გთავაზობთ სხვა შეხვედრათა შედეგებს: ესპანეთი—კანადა 2:1, გფრ—არგენტინა 2:1, საფრანგეთი—ტაივანი 3:0, ინგლისი—დომინიკელთა რესპუბლიკა 3:0, ჰონკონგი—უნგრეთი 2:1, ახალი ზელანდია—საბერძნეთი 3:0, ნორვეგია—შვეიცარია 2:1, ისრაელი—დანია 2:1.

## მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა ● ხელბურთი



## ფავორიტები დაჯაბნეს

**საქართველოს** ხელბურთელი გოგონები წინათ მოკრძალებული შედეგებით „გამოირჩეოდნენ". წლეულს, როგორც იქნა, ნავსი გატყდა — ლატვიის ქალაქ ლეძუაში ჩვენმა ხელბურთელებმა საკმაოდ დამაჯერებლად იასპარეზეს. პირდაპირ გეტყვით: ძნელად იფიქრებდა ვინმე, რომ ქართველი გოგონები შეძლებდნენ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ფინალში გასვლას, ხოლო ფავორიტები — მოლდავეთისა და ლენინგრადის გუნდები — ფინალს მიღმა დარჩებოდნენ.

ჩვენმა ხელბურთელებმა ექვსთა ტურნირში დაამარცხეს უზბეკეთის — 19:12, ესტონეთის — 23:17, მოლდავეთის — 20:14 და ლენინგრადის — 24:17 გუნდები, ხოლო მასპინძლებთან ფრედ — 20:20 დაამთავრეს შეხვედრა.

ამრიგად, საქართველოს გოგონათა ნაკრებმა, რომელიც დაკომპლექტებული იყო თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ხელბურთის სპეციალიზებული სპორტსკოლის (დირექტორი — სპორტის ოსტატი ზაზა დოლიძე, მწვრთნელი — ვილიამ ვარამაშვილი) აღსაზრდელებით, ხუთი შეხვედრიდან ცხრა ქულა დააგროვა და პირველ ადგილზე გავიდა.

ფინალში ჩვენს გუნდთან ერთად იასპარეზებენ ლატვიის, რუსეთის ფედერაციის, მოსკოვის, ბელორუსიისა და უკრაინის გუნდები.

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ფინალურ ტურნირს ხელბურთში 13-19 აგვისტოს თბილისი უმასპინძლებს.

**გია დუშელი**

**სურათზე: საქართველოს გოგონათა ნაკრები.**
**ანზორ კოჰლამაზაშვილის ფოტო.**

## ჭაბუკთა მსოფლიო პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში

# ამაგი დააფასეს

**პირველად მოხდა, რომ ჩვენი ჭაბუკი ფალავნები მსოფლიო პირველობაზე მონაწილეობის მისაღებად ჩვენივე ხარჯებით გაემგზავრნენ (მათ დაფინანსებაზე „ცენტრმა" უარი განაცხადა, რის თაობაზეც „ლელო" უკვე იუწყებოდა). გუნდის ხელმძღვანელებმა ძლივსღა იშოვეს ბილეთები. სპორტსმენები, როგორც იქნა, გაემგზავრნენ უნგრეთს, თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო პირველობაზე.**

**აი, რა გვითხრა უნგრეთიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოს ჭიდაობის რესპუბლიკური გაერთიანების ხელმძღვანელმა ომზარ შოშიტაშვილმა:**

როგორც იცით, უნგრეთში მატარებლით მოგვიხდა გამგზავრება, რამდენადაც თვითმფრინავის ბილეთები ვერ ვიშოვეთ. მატარებელშიც მხოლოდ დასაჯდომი ადგილები გვქონდა და ბიჭებს ასევე ეძინათ.

უნგრეთში ჩვენი რესპუბლიკის შვიდი წარმომადგენელი უნდა გამოსულიყო. ამასთან, ფილა-სთან სიტყვიერი შეთანხმებით, მძიმე წონაში ჩვენს ორ სპორტსმენს უნდა ეჭიდავა, 43 კგ კატეგორიაში კი არ მივიღებდით მონაწილეობას. მაგრამ პირველობის ორგანიზატორებმა და, კერძოდ, მასპინძლებმა უარი გვითხრეს ერთ წონაში ორი სპორტსმენის გამოყვანაზე; ფილა-ს პრეზიდენტი კი სწორედ შეჯიბრების დაწყების დღეს ჩამოვიდა, როდესაც აწონვა უკვე ჩავლილი იყო და მან დანაპირები ველარ შეასრულა. თვითონ უნგრელებმა კი გამოიყვანეს ერთ წონაში ორ—ორი მოჭიდავე, მაგრამ მათ წერილობითი ნებართვა ჰქონდათ. ასე რომ, გუნდში დავტოვეთ ზურაბ ლოლაშვილი, კახა შოშიტაშვილი კი შეცვალა ა. გუზოვმა (43 კგ).

სოხუმელი ლუკა კოხია, რომლის მწვრთნელია ამირან მაისურაძე, 83 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა. მან ქულებით დაამარცხა ჩეხეთ-სლოვაკეთისა და უნგრეთის გუნდების სპორტსმენები (შესაბამისად 9:1 და 6:0), სუფთა გამარჯვებები მოიპოვა ჯერ ინდოელ და შემდეგ კვლავ უნგრელ მოჭიდავეებთან, ხოლო ფინალში აშკარად დაჯაბნა ამერიკელი მონაწილე—12:3.

გორელმა დავით პოღოსიანმაც (მისი მწვრთნელები არიან ნუგზარ სხირელი და მერაბ უზაშვილი) 55 კგ წონაში კარგად დაიწყო ასპარეზობა და ფინალამდე ისე განვლო გზა, მხოლოდ სამი ქულა დაკარგა. ფინალშიც ასევე ბრწყინვალედ იასპარეზა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელს არავითარი შანსი არ დაუტოვა—10:0 დაამარცხა.

თბილისელი ალექსანდრე კახნიაშვილი—ცნობილი მწვრთნელის ვანო ნიკოლაძის მოწაფე—ნაკრების კაპიტანი გახლდათ. მან წინასწარი შეხვედრები კარგად ჩაატარა და ყველა მეტოქე აშკარა უპირატესობით დაჯაბნა, მაგრამ ფინალში ერთი ქულა დუთმო ინდოელ მოჭიდავეს და ვერცხლის მედალს დასჯერდა 76 კგ წონით კატეგორიაში.



რუსთაველმა ზურაბ ლოლაშვილმაც (მისი მწვრთნელები არიან სოსო მინდიაშვილი და პეტრე ჯიოშვილი, 95 კგ) მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგო, ისიც ერთი ქულით და ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა.

მალხაზ მხეიძემ (51 კგ) მეოთხე ადგილი დაიკავა, ხოლო დავით ხაბელაშვილმა (65 კგ)—მეხუთე.

ნაკრების სხვა წევრებიდან რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ა. გუზოვი პირველ ადგილზე გავიდა, ხოლო მოსკოველი ა. ასხადოვი—მესამეზე.

გუნდური პირველი ადგილი საბჭოთა ნაკრებს ხვდა, მეორე—ირანს, მესამე—ინდოეთს.

ცალკე რომ განვიხილოთ საქართველოს წარმომადგენელთა „ნადავლი", ჩვენ მეორე ადგილზე ვიმყოფებით (არაოფიციალურად, რა თქმა უნდა) ირანელთა შემდეგ, მაგრამ აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ უნგრეთში მხოლოდ ექვსი ფალავანი ასპარეზობდა საქართველოდან.

ჭაბუკი მოჭიდავეები მადლობით იხსენებენ ლევან თედიაშვილის ამაგს. ალბათ, გახსოვთ, რომ საჭირო ვალუტა მათ გასამგზავრებლად მსოფლიო პირველობაზე სწორედ მსოფლიოსა და ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა გაიღო. ალბათ თედიაშვილიც არ იქნება უკმაყოფილო ჭაბუკთა ასპარეზობით, რომლებმაც ორი „ოქრო" და ორიც „ვერცხლი" მოიპოვეს. ამაგი დააფასეს, ამაზე იტყვიან.

**ტურნირის ექო**

**გია ბურდული**

## პირველი პროფესიული ორგანიზაცია

**რიგა.** ლატვიაში შეიქმნა პროფესიულ სპორტსმენთა პირველი გაერთიანება — პროფესიულ მოკრივეთა კავშირი. ამ ახალი ორგანიზაციის პრეზიდენტად აირჩიეს წარსულში ცნობილი მოკრივე, ლატვიის დამსახურებული მწვრთნელი ვიაჩესლავ ბოდნია.

კავშირის მიზანია პროფესიული კრივის პროპაგანდა, შეჯიბრებების ჩატარება, პროფესიულ სპორტსმენთა უფლება-მოვალეობების დაცვა, მათი კარიერის დამთავრების შემდეგ, სამოყვარულო კრივის ხელშეწყობა და მოგების გარკვეული პროცენტის გადარიცხვა ლატვიის კრივის ფედერაციის ბიუჯეტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლი ჰქენი...

# სხვისიც გტკიოდეს

**სულ** რამდენიმე თვეა, რაც საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაცია შეიქმნა და ამ მოკლე ხნის მანძილზე ახალმა ფედერაციამ არაერთი საინტერესო ღონისძიების მოწყობა ითავა. და აი, კიდევ ერთი: გუშინ დუშეთის რაიონის სოფელ პირმისაანთკარის სკოლა-ინტერნატში დასასვენებლად გაამგზავრეს საქართველოში მცხოვრები თავისებური ფსიქიკური განვითარების მქონე მოზარდები.

დრო ისე გადიოდა, არავის ახსოვდა ისინი — თითქოს არც არსებობდნენ, ან თუ არსებობდნენ, სადღაც სხვაგან, ჩვენგან შორს, სხვა სამყაროში. ასეთი ბანაკის შექმნაზეც, რა თქმა უნდა, არავის უფიქრია. ისე კი, ლოზუნგს „ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს!" დიდხანს ვაფრიალებდით. ამ „ფრთიანი ფრაზის" ავტორებს, ეტყობა, სიტყვა „ჯანმრთელი" გამორჩათ, თუმცა, განა ჯანმრთელ ბავშვებს კი აქვთ ყველაფერი საუკეთესო?!

ამ დღეებში დიდ გარჯაში იყვნენ სიფსფ-ის წევრები: აკომპლექტებდნენ შტატებს, ამუშავებდნენ საგანგებო მეთოდურ სისტემას, არჩევდნენ სპეციალურ ვარჯიშებს, კვების რაციონს...

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ამ ფედერაციის პრეზიდიუმის ერთ-ერთ სხდომაზე საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სამმართველოს უფროსმა მურთაზ მნათობიშვილმა გამოთქვა აზრი თავისებურად განვითარებულ ბავშვთათვის დასვენების პირობების შექმნის შესახებ. ფედერაციამ მოიწონა წინადადება, თხოვნით მიმართა სხვადასხვა უწყებებსა და სამინისტროებს, რომლებსაც უარი არაფერზე უთქვამთ. თავისებური ფსიქიკური განვითარების მქონე მოზარდებზე მზრუნველ ასოციაცია „მეგზურს" აღრიცხვაზე ჰყოლია ინვალიდი ბავშვები, რომელთაც დაეგზავნათ წერილები (კავშირგაბმულობის სამინისტრო „მეგზურს" უფასოდ მოემსახურა). უკან არც ინვალიდთა რესპუბლიკურ სარეაბილიტაციო ცენტრსა და ქალაქის ბავშვთა № 2 დისპანსერს დაუხევიათ და ასე მოგვარდა კიდევ ერთი კეთილი საქმე.

პატარები პირმისაანთკარში 20 აგვისტომდე დარჩებიან. მათთან იმუშავებს ფიზკულტურის ინსტიტუტის ანატომიის კათედრის თანამშრომელი მანანა ქოჩაკიძე, რომელიც კარგა ხანია თეორიულად ამუშავებს ამ საკითხებს. მთავარ მეთოდისტად ვალენტინ ლაბუნსკაია მიწვეული, პედაგოგები კი დისპანსერიდან და სარეაბილიტაციო ცენტრიდან იქნებიან მივლინებულნი.

— მომავალი გვიჩვენებს, როგორ გაამართლებს ჩვენი ექსპერიმენტი, რომელიც პირველია კავშირის მასშტაბით. გაისისთვის უფრო დიდი გეგმები გვაქვს. ეს საკითხი, ფაქტიურად, ორ კვირაში მოგვარდა და, ალბათ, ბევრ საკითხს გზადაგზა მოვაგვარებთ. — გვითხრა სიფსფ-ის პრეზიდენტმა გიორგი ძნელაძემ.

**ინგა აფციაური**



# კონტაქტები წარმატების საწინდარია

**თანდათან** უფრო ღრმავდება კონტაქტები ქართველ და უცხოელ სპორტსმენთა შორის. ამის დასტურია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ შვერტეს მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა სპორტული კლუბის წარმომადგენელთა სტუმრობა თბილისში. გერმანელი სპორტსმენები ორ კვირას დაყოფენ ჩვენს ქალაქში და ამ ხნის განმავლობაში გამართავენ ერთობლივ ვარჯიშებსა და საჩვენებელ გამოსვლებს ქართული მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატებთან, ხოლო მომავალი წლის ოქტომბერში, ქართველი სპორტსმენები საპასუხო ვიზიტად ეწვევიან გფრ-ს. იმედია, ორმხრივი კონტაქტები სასიკეთოდ წაადგება, როგორც ქართველ, ასევე გერმანელ მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ოსტატობის სრულყოფას.

**სურათზე:** ქართველი და გერმანელი მხატვრული ტანმოვარჯიშენი ასრულებენ თავისუფალ ვარჯიშს.

**ანზორ კოჰლამაზაშვილის ფოტო.**

„სპორტპროგნოზი", 31-ე ტირაჟის პროგრამა (4-5 აგვისტო)

| | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 1. „შახტიორი" (დონეცკი) — „ტორპედო" (მოსკოვი) | 4.VIII | 10 | 70 | 20 |
| 2. „დინამო" (მოსკოვი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 4.VIII | 80 | 10 | 10 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (მეორე ლიგა, დასავლეთის ზონა)** | | | | |
| 3. „სპარტაკი" (ნალჩიკი) — „ბუკოვინა" (ჩერნოვცი) | 4.VIII | 60 | 30 | 10 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)** | | | | |
| 4. „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 4.VIII | 30 | 50 | 20 |
| 5. „ტირასი" (ტირასპოლი) — „კუზბასი" (კემეროვო) | 4.VIII | 20 | 50 | 30 |
| 6. „ყუბანი" (კრასნოდარი) — „კაირატი" (ალმა-ათა) | 5.VIII | 40 | 40 | 20 |
| 7. „დინამო" (სოხუმი) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 5.VIII | 60 | 30 | 10 |
| 8. „ზენიტი" (ლენინგრადი) — „დინამო" (სტავროპოლი) | 5.VIII | 70 | 20 | 10 |
| 9. „ნეფთჩი" (ბაქო) — „როსტსელმაში" (როსტოვი) | 5.VIII | 50 | 30 | 20 |
| 10. „ნისტრუ" (კიშინიოვი) — „ლოკომოტივი" (გორკი) | 5.VIII | 70 | 10 | 20 |
| 11. „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „ფაკელი" (ვორონეჟი) | 5.VIII | 40 | 50 | 10 |
| 12. „გეოლოგი" (ტიუმენი) — „სპარტაკი" (ვლადიკავკაზი) | 5.VIII | 10 | 60 | 30 |
| 13. „შინიკი" (იაროსლავლი) — „კოტაიკი" (აბოვიანი) | 5.VIII | 70 | 20 | 10 |

# ორნი — მსოფლიო ჩემპიონატზე

**როგორც** „ლელოს" მკითხველებმა იციან, ახალგაზრდა მძლეოსანს — ამბროსი მატიაშვილს (მწვრთნელი რ. კობიაშვილი) იუნიორთა მსოფლიო პირველობაზე მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად სათანადო შედეგი უნდა ეჩვენებინა შუბის მტყორცნელთა შესარჩევ ასპარეზობაში. და აი, გუშინ მოსკოვიდან მოვიდა ცნობა, რომ 17 წლის ქართველი სპორტსმენის შუბმა 75 მეტრსა და 48 სანტიმეტრზე „იფრინა". ეს შედეგი რესპუბლიკის ახალი რეკორდია (მოდიფიცირებული შუბით), რამაც მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილის სახელი დაუმკვიდრა მის ავტორს.

ა. მატიაშვილი საქართველ[...] სპორტსაზოგადოება „შევარდენ[...] ოლიმპიური რეზერვის მძლეოსნ[...] სკოლის აღზრდილია და ამავე ს[...] ლის წარმომადგენელ — 18 წ[...] სიმაღლეზე მხტომელ ვლადიმერ [...] ნაკოვთან (მწვრთნელი გ. სავჩენ[...]) ერთად მიემგზავრება სოფიაში, [...] დაც ორივენი ჩაებმებიან თანაკ[...] ლთა მსოფლიო ჩემპიონატში. სხ[ვა]თა შორის, ეს იქნება პირველი [შე]მთხვევა, როცა საქართველოს [წა]რმომადგენლები იასპარეზებენ ა[მ] შეჯიბრებაში.

# კეთილი ნების თამაშ[ები]

# საგანგებო შემთხვევა სიეტლში

(დასასრული)

უნიკალური, თითქმის დაუჯერებელი სიტუაცია შეიქმნა ვაჟთა თარჯრბენში 110 მეტრზე. აქ თავი მოიყარა მძლეოსნური სეზონის თითქმის ყველა ლიდერმა, მათ შორის ოლიმპიურმა ჩემპიონმა როჯერ კინგდომმა და ბრინჯაოს პრიზიორმა ტონი კემპბელმა, ამ უკანასკნელს, როგორც ჩანს, რევანშის დიდი სურვილი ჰქონდა. მან ორჯერ დაარღვია სტარტის წესი და, ბუნებრივია, მოიხსნა შეჯიბრებიდან. საერთოდ კი ამ გარბენში ფალსტარტი ოთხჯერ აღინიშნა. უნიკალური შემთხვევაა. ოქროს მედალი (შედეგით 13,47) ორჯერ კინგდომმა მოიპოვა.

სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები ჯგუფური ტურნირის ერთადერთი მონაწილეა, რომელმაც შეჯიბრების პირველ ეტაპზე ქულათა მაქსიმუმი დააგროვა. ბოლო შეხვედრა საბჭოთა ხელბურთელებმა ჩეხოსლოვაკიის გუნდს მოუგეს, ფაქტობრივად, მეორე ნახევარში — 25:18. პირველი ტაიმი კი ფრედ — 11:11 დამთავრდა.

უკვე გამოვლინდა ნახევარფინალის ოთხი მონაწილე. ფინალში გასასვლელად იბრძოლებენ სსრ კავშირი-ესპანეთი და აშშ-იუგოსლავია. ეს მატჩები გუშინ ჩატარდა. მეორე ოთხეული (ისლანდია-იაპონია და ჩეხოსლოვაკია-სამხრეთ კორეა) კი ბრძოლას ერთი დღის შემდეგ განაახლებს.

ბოლოს და ბოლოს სენსაცია „კოლიზეუმის" დარბაზშიც მოხდა, სადაც კალათბურთელი ვაჟები ასპარეზობენ. ამ სენსაციის ავტორი გახლავთ საბჭოთა ნაკრების მწვრთნ[ე]ლი ვლადას გარასტასი, რომელ[მაც] აშკარად აჯობა თავის ამერიკ[ელ] კოლეგას მაიკ კჟიზენსკის, უპირ[ვე]ლეს ყოვლისა, ტაქტიკური აზრ[ო]ვნებით. სხვათა შორის, ამ მწვრთნ[ე]ლის (იგი დიუკის უნივერსიტეტ[ის] გუნდის დამრიგებელი გახლავთ) [მომსა]ხურებას აპირებს პროფესიუ[ლი] კლუბი „ბოსტონ სელტიკსი", რ[ომელიც] თვისაც 2,5 დოლარს იხდის.

გარასტასის გეგმა შედარებით [მა]რტივი და ამავე დროს უშეცდო[მო] იყო. ამერიკელები ჩვენს გუნდს [აჭარ]ბებდნენ სიმაღლეში. ამიტომ სუ[ლ]რევის იმედზე ყოფნა ფარის ქვ[ეშ] შეცდომა იქნებოდა. საბჭოთა კ[ა]ლათბურთელებმა მეტოქის კალა[თ]ის იერიში შორი მანძილიდან სრ[ო]ლებით დაიწყეს და საქმეც ბოლ[ომ]დე მიიყვანეს. მასპინძლებთან გამ[ა]რჯვება ჯგუფურ ტურნირში — 9[...]:85 (42:45) საბჭოთა ნაკრებს გარ[კ]ვეულ ფსიქოლოგიურ უპირატეს[ო]ბას აძლევს, მაგრამ ბრძოლა ჯე[რ] არ არის საბოლოოდ მოგებული. [სა]ვილო შესაძლებელია, ეს გუნდე[ბი] ერთხელ კიდევ შეხვდნენ ერ[თ]მანეთს ფინალში. ამერიკელ[თა] მწვრთნელი, დარწმუნებული ვარ[თ], შეცდომას აღარ გაიმეორებს.

ჯგუფში, სადაც საბჭოთა ნაკრ[ები] გამოდის, თითო გამარჯვება ა[ქვთ] ამერიკელ და იტალიელ კალათბ[უ]რთელებს. მეორე ჯგუფში დამაჯ[ე]რებლად ლიდერობენ ბრაზილიელ[ე]ბი, რომლებმაც მორიგ მატჩში ი[უ]გოსლავიის ნაკრები დაამარცხ[ეს] 95:85. აქ იუგოსლავიელთა გარ[და] ერთი გამარჯვება აქვს ესპანეთ[ის] გუნდსაც.

## „ავტოგრაფები" ტაბლოზე

**24 ივლისი.**

**ცურვა. ვაჟები.** 100 მ თავისუფალი სტილით. 1. მეტ ბიონდი (აშშ) — 49,01; 200 მ კომპლექსური. 1. დეივ უორტონი (აშშ) — 2.02.37; 1500 მ თავისუფალი სტილით. 1. იორგ ჰოფმანი (გდრ) — 15.11,14; 4X100 მ კომბინირებული. 1. აშშ (ჯონ გრინი, კირკ სტეკლი, ბრაიან ალდერმანი, მეტ ბიონდი) — 3.40,97.

**ქალები.** 200 მ თავისუფალი სტილით. 1. მანუელა შტელმაჰი (გდრ) — 2.00,38; 100 მ ბრასით. 1. იულია ლანდიკი (სსრკ) — 1.10,34; 200 მ ბატერფლაი. 1. სამერ სენდერსი (აშშ) — 2.09,46.

**მძლეოსნობა. ვაჟები.** შუბის ტყორცნა. 1. ვიქტორ ზაიცევი (სსრკ) — 84,16 მ; 200 მ. 1. მაიკლ ჯონსონი (აშშ) — 20,54; 3000 მ დაბრკოლებებით. 1. ბრაიან დიმე[...] (აშშ) — 8.32,24; 400 მ. 1. რობე[რ]ტო ერნანდესი (კუბა) — 44,79.

**ქალები.** ბირთვის კვრა. 1. ნატ[ა]ლია ლისოვსკაია (სსრკ) — 20,60[;] 10 კმ სპორტული სიარული. 1. [ნა]დეჟდა რიაშკინა (სსრკ) — 41.56,[...] (მსოფლიო რეკორდი); 5000 მ. [1.] ელენა რომანოვა (სსრკ) — 15.02,[...]; სიგრძეზე ხტომა. 1. ინესა კრავე[ც] (სსრკ) — 693 სმ.

**ხელბურთი. ვაჟები.** სსრკ — ჩსფრ 25:18; აშშ — იაპონია 23:2[...]; იუგოსლავია — ესპანეთი 23:21; [ის]ლანდია — ს. კორეა 26:17.

**კალათბურთი. ვაჟები.** სსრკ — აშშ 92:85; იტალია — პუერტო-რ[ი]კო 117:97; ესპანეთი — ავსტ[რა]ლია 78:71; იუგოსლავია — ბრა[]ზილია 85:95.



საქდეს-საქინფორმის ფოტ[ო].

ეროვნული ბიბლიოთეკა





# მატჩი შედგა— ეს უკვე გამარჯვებაა!

**მიუხედავად** ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის ხელმძღვანელთა მცდელობისა — გადაუკეტოს საერთაშორისო სარბიელისკენ მიმავალი გზები ქართულ ფეხბურთს, მაინც ხერხდება უცხოეთის ქვეყნებთან კონტაქტების დამყარება. ამას ადასტურებს საქართველოს ეროვნულ სტადიონზე გამართული გუშინწინდელი საერთაშორისო შეხვედრა, რომლის მონაწილენი იყვნენ საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების საფეხბურთო კლუბი „მგლები" და თურქეთის ქალაქ რიზეს პროფესიული გუნდი „რიზესპორი".

თამაში ქართველი ფეხბურთელების იერიშებით დაიწყო, შემდეგ ორივე გუნდს ჰქონდა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა.

მეორე ნახევარი უფრო დინამიურად და სანახაობრივი თვალსაზრისით მიმზიდველად წარიმართა, კარის ალების არაერთი შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან „მგლებმა" — შიოლაშვილმა, ლლონტმა და შეყილაძემ. მატჩის ბედი გადაწყდა შეხვედრის მიწურულს, როცა მუსტაფა ქალაფაქის ზუსტი პასის შემდეგ ექრემ ალის ქალიოღლუმ მეტოქის კარში მოათავსა ბურთი 1:0 — გაიმარჯვეს სტუმრებმა.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ შეხვედრის შედეგს არც თურქი და არც ქართველი ფეხბურთელებისთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონია. მატჩის ყველაზე ლოგიკური დახასიათება გახლავთ „მგლების" პრეზიდენტის მ. ქურდიანის სიტყვები, რომლითაც მან მიმართა შეხვედრის მონაწილეებს და მაყურებლებს: „ის ფაქტი, რომ დღეს თურქეთის გუნდი გვესტუმრა, და თამაში მაინც შედგა, უკვე ქართული ფეხბურთის დიდი გამარჯვებაა".

როგორც „რიზესპორის" მენეჯერმა ოსმან ქოლჩაქმა ბრძანა, რიზე ლაზებით ერთ-ერთი ყველაზე უფრო კომპაქტურად დასახლებული ქალაქია და მათ ბევრი საერთო აქვთ ქართველებთან.

თურქეთის ფეხბურთის მესვეურთ გაცნობიერებული ჰქონდათ ის რეალური საფრთხე, რომლის წინაშეც ისინი დადგებოდნენ ქართულ საფეხბურთო სამყაროსთან კავშირის დამყარების შემთხვევაში. მიუხედავად ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციებისგან (ფიფა, უეფა) მოსალოდნელი სანქციებისა, მათ ძმობა უფრო ძვირად უღირთ და მზად არიან, კვლავაც მხარში ამოუდგნენ ქართულ ფეხბურთს.

**ლევან ჯავახიშვილი.**

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მატჩის დამთავრების შემდეგ ორივე გუნდის ფეხბურთელებმა, მსაჯებმა და „მგლების" ხელმძღვანელებმა სამახსოვრო ფოტოსურათი გადაიღეს; შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.**

**ანზორ კოჭლამაზაშვილის ფოტოები.**

# რა იდგა სრულყოფილების მიღმა?

„ეს სრულყოფილება იყო" — ასეთი ეპითეტით შეამკო მიხეილ მესხი მისი სახელობის ტურნირზე თბილისში სტუმრად მყოფმა გავრილ კაჩალინმა. თუმცა, რა შედარებები და მეტაფორებიც არ უნდა გამოვიყენოთ ლეგენდარული „ფინტების მეფის" მისამართით, მისდამი სიყვარულს მაინც ვერ გამოვამჟღავნებთ ისე, როგორც ეს არგენტინელებმა შეძლეს — მესხის თამაშით თავბრუდახვეული გულშემატკივრები ბუენოს-აირესის სტადიონზე ერთხმად ყვიროდნენ: „მესხი... მესხი...", ხოლო ამ ამბიდან სამი ათეული წლის შემდეგ არგენტინაში ტურისტად მყოფ გურამ ფანჯიკიძეს არც მეტი, არც ნაკლები, გული „შეუღონეს" შეკითხვებით: „მესხი სად არის, მის შემდეგ ამ სტადიონზე მსგავსი ზეიმი აღარავის უხილავსო". ასეა, ტალანტებს ყველგან აღიარებენ და ამჩნევენ, ამისათვის უბოროტო გული და ნათელი სულია საჭირო. მესხს ძალუძდა ასეთი დღესასწაულების ჩვენება და ამიტომ არის იგი „სრულყოფილება". თუმცა... ყველას ასე სწამდა და სჯეროდა მისი? ღმერთმა იცის, რა წინააღმდეგობების გადალახვა მოუწია მას, ვიდრე ამ სრულყოფას მიაღწევდა.

● **ბატონო მიშა, თქვენთან შეხვედრად რომ ვემზადებოდი, ახლობლები ათას კითხვას მაბარებდნენ: რატომ არ გათამაშეს ამა თუ იმ მატჩში, რატომ არ წაგიყვანეს ამა თუ იმ ტურნირზე, „საუკუნის მატჩზე" რატომ არ გაგიშვეს და ა. შ. პრეტენზიებს უმეტესად საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელების მიმართ გამოთქვამდნენ. სიმართლე გითხრათ, დავიბენი. ნუთუ თქვენ, ვინც ახალგაზრდობაშივე „ფინტების მეფის" სახელი მოიპოვეთ, ასე გიჭირდათ საბჭოთა ნაკრების „შტატში ჩარიცხვა"?**

— მიჭირდა, იმიტომ, რომ მარცხენა გარემარბის რამდენიმე კანდიდატურას გამოძებნიდნენ და თუ ათი თავით არ ვაჯობებდი, დამჩაგრავდნენ. ამიტომ მთელი ჩემი საფეხბურთო ცხოვრება ბრძოლა იყო, ბრძოლა ნაკრებში ადგილის შენარჩუნებისთვის. ჩემდა საბედნიეროდ, ადრევე მივხვდი, რომ ძალიან ძლიერი უნდა ვყოფილიყავი, რათა ჩემი მეტოქეებისთვის — ლობანოვსკის, კოვალიოვის, ჰუსაინოვის, ილინისათვის და კიდევ სხვებისთვის არ მიმეცა გამარჯვების შანსი.

● **მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობისა, მიხეილ მესხმა მაინც თქვა თავისი სიტყვა დიდ ფეხბურთში. უცხოეთში გზედავდნენ და გაფასებდნენ. მიწვევა თუ გქონიათ საზღვარგარეთის კლუბებიდან და თუ ეს ასეა, რატომ არ წახვედით?**

— ჩემი აქტიური სპორტული ცხოვრება ე. წ. უძრაობის პერიოდს დაემთხვა, როცა ყოველი საზღვარგარეთული ტურნეს დროს ერთ ფეხბურთელზე ორი უშიშროების კომიტეტის წარმომადგენელი მოდიოდა, ასე რომ, მიზეზი, თუ რატომ ვერ წავიდოდი, ნათელია. თუმცა მთავაზობდნენ კოლოსალურ თანხებს — მილიონობით დოლარს, რომელზეც ირონიულად ვპასუხობდი: нет, нельзя, мы — коммунисты. თითქოს კომუნისტობა და კეთროვანება ერთი და იგივე ყოფილიყო, მოტაცებასაც მიპირებდნენ. მაშინდელი პრესაც წერდა ამის შესახებ, გავიხსენებ ერთ კურიოზულ შემთხვევასაც: ჩილეში ჩემს ოთახში უშიშროების წარმომადგენელს ეძინა. ეს კაცი მუდამ თან დამყვებოდა ქუჩებსა თუ მაღაზიებში. ჩემს „ფინტებს" აქაც ვიყენებდი — დავემალებოდი და როცა ძებნით დაიღლებოდა, ცხვირწინ ავეტუზებოდი. „კუ-კუ" — შევძახებდი და... წარმოიდგინეთ რა დღეში ჩავარდებოდა.

სათცარი ის იყო, რომ ჩემზე ხმა დაირხა თითქოს უნდა დავრჩენილიყავი უცხოეთში, ამიტომ ჩემპიონატზეც არ მიშვებდნენ, ვიდრე ვასილ მჟავანაძე არ დამიდგა თავდებად.

● **„საუკუნის მატჩზე" რატომ არ გაგიშვეს? მაშინაც უცხოეთში დარჩენის გეშინოდათ?**

— ამ მატჩზე მე და ლევ იაშინი ვიყავით მიწვეულები. როდესაც პირველად შედგა მსოფლიო ნაკრების სია, დაასახელეს 43 კანდიდატი, შემდეგ 11-მდე შეკვეცეს სია და იმ თერთმეტშიც მოვხვდი. საბოლოოდ გადაწყდა დაეძახათ 23 ფეხბურთელისთვის და სწორედ ამ საბოლოო ვარიანტში ჩართეს იაშინი. ბუნებრივია. მიხაროდა, მსოფლიო ფეხბურთელთა საუკეთესო ელიტაში რომ დამასახელეს, მაგრამ მატჩზე ვერ წავედი. აქედან დეპეშა გაუგზავნიათ — ფორმაში არ არისო, არადა ასეთ მატჩებზე საუკეთესო ფორმაში ყოფნა არც არის საჭირო. ეს ყველაფერი დოკუმენტებშია დაცული.

● **ნაკრების წარუმატებელი თამაში ხშირად ქართველ ფეხბურთელს ბრალდებოდა. ავთანდილ ჭკუასელს რუსულის უცოდინარობა, დაუსახელეს ნაკრების მარცხის მიზეზად. მსგავს შემთხვევას ხომ ვერ გაიხსენებთ?**

— 1958 წელს ინგლისის ნაკრებთან ამხანაგური შეხვედრა ჩავატარეთ სტუმრად. ჩვენს ნაკრებში წინ მეტრეველი, სიმონიანი და მამედოვი დააყენეს, გუნდში დანარჩენები რუსები იყვნენ. მატჩი წავაგეთ — 0:5, მარცხის მიზეზად კი სწორედ ეს სამეული დაასახელეს: ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი. დანარჩენებს თავზე ხელი გადაუსვეს, თქვენ კარგად ითამაშეთო. ასე რომ, მარტო ქართველს კი არ ბრალდებოდა მარცხი, არამედ რუსის გარდა — ყველას.

● **ყველაზე ცუდად ნაკრების რომელი მწვრთნელი გაგონდებათ?**

საერთოდ, 16 მწვრთნელთან მიმუშავია, ბევრი მათგანი კარგად მახსენდება, აი, ბესკოვმა კი, პირველად რომ ამიყვანა ნაკრებში, პირდაპირ სისხლი გამიშრო. ბოლოს ვუთხარი: გამიშვი, ცალკე მოვემზადები თბილისის „დინამოში"-მეთქი. ერთხელ იტალიის გუნდს ვხვდებოდით შესარჩევ ტურნირში. დამაიმედა, გათამაშებო, მერე გადაიფიქრა. განმეორებით შეხვედრაში გამოგიყვანო, დამპირდა, თუმცა, არც იქ მათამაშა. არადა, იტალიის მწვრთნელს ფაბრის მინდორზე ნანახი ვყოლივარ, მოვწონებივარ და ეგონა, ბესკოვი შემადგენლობაში დამაყენებდა. ის მატჩი ბედზე ფრედ დამთავრდა. მაცოლამ პენალტი ვერ გამოიყენა. ბანკეტზე ჩემთან ფაბრი მოვიდა და გულმოსული დამამშვიდა: გულს ნუ გაიტეხ, ისეთი ბიჭი ჩანხარ, ყველა ადგილზე ითამაშებო. მსგავსი ეპიზოდები სლავა მეტრეველის ცხოვრებაშიც მრავლად მოიძებნება.

● **მატერიალური ანაზღაურების დროს თუ მომხდარა ამგვარი „გაუგებრობები"?**

— ეს ერთ-ერთი ისეთი საკითხი იყო, რომელზეც გამუდმებით მიმდინარეობდა დავა, ბურთზე კი არავინ ფიქრობდა. ინგლისში 5 გირვანქა სტერლინგი მოგვცეს, რაც 15 დოლარს უდრიდა. საელჩოც კი ჩაერია იმაში, რომ ეს თანხა 30 დოლარამდე გაეზარდათ. თვეობით ვჩერდებოდით სახელმწიფოებში და არ მახსოვს 100 დოლარზე მეტი მოეცათ. ეს ნაკრებში... გუნდში კი ფულზე ლაპარაკი არ ყოფილა, გვიყვარდა ბურთი და იმიტომ...

● **საბჭოთა ფეხბურთის „ავთვისებიან სიმსივნეზე", ჩაწყობილ თამაშებზე მინდა გკითხოთ. თქვენს დროს თუ ხდებოდა ამგვარი რამ?**

— ერთადერთი ასეთი თამაში მახსენდება ქუთაისის „ტორპედოსთან". ის ქულა რომ არ მიგვეცა, ქუთაისი უმაღლესი ლიგიდან გავარდებოდა. სხვა არ მახსენდება. ამ სენმა ჩემს შემდეგ მოიკიდა ფეხი.

● **იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ ვნახეთ ფლანგების თამაში და, ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ჩემპიონატმა დაჰკარგა სანახაობრივი მხარე. თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?**

— ფლანგების თამაში წარსულს ჩაბარდა. ჩვენს დროს 4 ან 5 თავდამსხმელით ვთამაშობდით, იყვნენ ვარსკვლავები, რომელთაც შეეძლოთ ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე თამაში მოეგოთ. ახლა გუნდები ფიზიკურად ძლიერად არიან მომზადებულნი, ასეთი იყო გფრ-ის ნაკრები ამ ჩემპიონატში და მან გაუძლო მარათონს. ერთი თამაშიც რომ ჰქონოდა ჩასატარებელი, ვფიქრობ ისიც ჩამოყრიდა ყურებს.

● **ბატონო მიშა, როდესაც თქვენთან ვსაუბრობ, არ შემიძლია არ გკითხოთ ბავშვთა ფეხბურთის შესახებ. კრიზისი კვლავ გრძელდება?**

— მე არ ვიცი კრიზისი ჰქვია ამას თუ არა, პატარები ყოველთვის კარგები არიან, მერე რა მოსდით, ვერ გეტყვით. „ავაზა" მუდამ „ამარაგებდა" ქართულ ფეხბურთს მომავალი თაობით, ექვსიშვიდი ბიჭი ერთად მიჰყავდათ „დინამოში", იქ ამპლუას უცვლიდნენ, ან სათადარიგო სკამზე დიდხანს სვამდნენ და იკარგებოდა ფეხბურთელი.

● **მიხეილ მესხის იმედები უფროსმა ვაჟმა ბოლომდე ვერ გაამართლა. მამუკა რას ჰპირდება მამას?**

— მიშიკოს უფრო დიდი მონაცემები ჰქონდა, მამუკას კბილა როცა იყო. მამუკა არ არის ისეთი სწრაფი და მარდი, მაგრამ როგორც ფეხბურთელი, შეიძლება, უფრო გონიერია. მიშიკოს ტალანტი ჰქონდა, ბურთი კი არ უყვარდა.

● **„ცენტრს" სურს ქართული ფეხბურთი იზოლაციით დაღუპოს. ბავშვებიც, ალბათ, ვერც „ტყავის ბურთის" და „იმედის თასის" საკავშირო ტურნირებში მიიღებენ მონაწილეობას. ეს ხომ არ შეუშლის ხელს მათ სწორ აღზრდას და პროფესიონალ ფეხბურთელად ჩამოყალიბებას?**

— სხვისი არ ვიცი, ჩვენი გუნდი კი ჯერ ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება, შემდეგ თურქეთში და გერმანიაში. ასე რომ გზები ყველგან მოინახება, ბავშვებიც უკეთეს სკოლას გაივლიან უცხოეთში და მეც იმედის თვალით შევყურებ მომავალს.

**ესაუბრა ინგა ჩახვაშვილი.**



## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

**ინგლისის** ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო: მას შემდეგ, რაც კამერუნის ნაკრებმა განვლილ მსოფლიო ჩემპიონატში დიდ წარმატებას მიაღწია, მეოთხედფინალში გავიდა და თვით ინგლისელ ფეხბურთელებს დიდი წინააღმდეგობა გაუწია, განიზრახა 1991 წლის 6 თებერვალს ლონდონის „უემბლის" სტადიონზე მოაწყოს ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ინგლისისა და კამერუნის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის.

გარდა ამისა, ინგლისელებს გადაწყვეტილი აქვთ გაისად, მაისში, ლონდონში გამართონ საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ინგლისის, არგენტინისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები.

**გერმანიის** ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების მწვრთნელის ფრანც ბეკენბაუერის მენეჯერმა რობერტ შვანმა უარყო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ფ. ბეკენბაუერმა ათწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი „ადიდასის" ფირმასთან. ამ ფირმას სულ ახლახან დაეპატრონა ფრანგი ბიზნესმენი და საფეხბურთო კლუბ „მარსელის" პრეზიდენტი ბერნარ ტაპი.

რ. შვანმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ ფ. ბეკენბაუერი და ბ. ტაპი ახლახან მართლაც შეხვდნენ ერთმანეთს ციურიხში [illegible]რია), მაგრამ არავითარი [illegible]ტრაქტისთვის ხელი არ მოუწერიათ. ბერნარ ტაპის სურვილი აქვს, თავის „გუნდში" იხილოს მსოფლიო ჩემპიონთა მწვრთნელი [illegible] რამდენადმე მაინც [illegible] „ადიდასის" შერ[illegible] რომელიც ბოლო[illegible] ფინანსურ სიძნელეებ[illegible]

ვიქტორ კორჩნოი:

# „სამშობლოსთვის, რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე“

**ინტერვიუ, რომლის ოდნავ შემოკლებულ ვარიანტსაც დღეს „ლელოს“ მკითხველებს ვთავაზობთ, გაზეთ „მეგაპოლის-ექსპრესში“ დაიბეჭდა. მისი ავტორია რუდოლფ ზაგაინოვი, კაცი, რომელიც 1974 წელს პრეტენდენტთა მატჩში — კარპოვთან — ვიქტორ კორჩნოის ფსიქოლოგი გახლდათ. მას შემდეგ, დაახლოებით ათი წლის განმავლობაში, ზაგაინოვს აკრძალული ჰქონდა სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ გასვლა, ხოლო მაშინდელი სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობა, მრავალი სპორტსმენისა და გუნდის მწვრთნელები ცდილობდნენ არ გაეხმაურებინათ მასთან ურთიერთთანამშრომლობის ფაქტები. კორჩნოისა და მისი ფსიქოლოგის შეხვედრა მოხდა 16 წლის შემდეგ, 1990 წელს ესპანეთის ქალაქ მურსიაში.**

...მესამე საათია ვლაპარაკობთ. არადა, ხვალ პარტიაა სათამაშო, მაგრამ იგი იმდენადაა გატაცებული საუბრით, რომელმაც, ერთგვარად, წარსულში მოგზაურობის სახე მიიღო, რომ ძალზე ძნელია მისი აწმყოში, ესპანეთში დაბრუნება.

— დიდი მადლობა მინდა გითხრათ „სოვეტსკი სპორტში“ დაბეჭდილი ინტერვიუსთვის, — ამ სიტყვებით დაიწყო მან ჩვენი საუბარი.

**— იმ მახალაში მე იმასაც ვამბობდი, რომ სულიერად თქვენ ჭეშმარიტად საბჭოთა ადამიანი ბრძანდებით და როდესმე დაბრუნდებით საბჭოთა კავშირში. მაგრამ ეს ადგილი ამოიღეს.**

— აი, თქვენ ამბობთ, რომ მე შეიძლება დავბრუნდე, მაგრამ როგორ შეიძლება დაბრუნება, როდესაც კარპოვი როგორც იყო მშვიდობის ფონდის თავმჯდომარე, ისევე დარჩა, თანაც, დეპუტატიც გახდა! სად არის ეს თქვენი გარდაქმნა, სად? ვინ არიან ის ადამიანები, გარდაქმნაზე რომ გაჰყვირიან?

პაუზა გაგრძელდა. შემდეგ მან თავი ასწია და ხმადაბლა იკითხა:

— მართლა ფიქრობდით, რომ შემეძლო დაბრუნება? რატომ?

**— იმიტომ, რომ თქვენ უფრო მეტი გულშემატკივარი გყავდათ, ვიდრე სხვებს. მეგობრებიც...**

— ეს იმიტომ, რომ მე ყოველთვის იმას ვლაპარაკობდი, რასაც ვფიქრობდი. არა, ეს შეუძლებელია. ადგილსამყოფელი კი არ ენატრებათ, არამედ ხალხი. ჩემი თაობის ხალხი არასოდეს არ გარდაიქმნება. ცხოვრება ისე აეწყო, რომ მე დავუპირისპირდი ჩემს თაობას. პეტროსიანი, გელერი, ტალი, პოლუგაევსკი — მათ მე მიღალატეს. ყველა ჩემს წინააღმდეგ მუშაობდა კარპოვთან ერთად.

**— ბოლო ხანს რუსეთში ჩამოდიან ისინი, ვინც იმავე წლებში წავიდა ემიგრაციაში. მწერლები მაქსიმოვი და ვლადიმოვი თავიანთ ინტერვიუებში ამბობენ, შეგვიძლია დავბრუნდეთ, მაგრამ არავინ გვეძახისო. თქვენთვის რომ დაეძახათ?**

— ეს შეუძლებელია.

**— არ გენატრებათ ლენინგრადი?**

— არა. მე უკვე გითხარით, რომ ადგილსამყოფელი კი არ ენატრებათ, არამედ ხალხი. მაგრამ მე არ მენატრება. 1975 წელს მე ჩემს თავს ვუთხარი: „მივდივარ სამუდამოდ!“ საკუთარ თავს ასეთ სიტყვებს რომ ეტყვი, ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს.

**— სხვაც ბევრი ეუბნება საკუთარ თავს ამ სიტყვებს, შემდეგ კი ირკვევა, რომ ხადლაც შიგნით, ქვეშეცნეულად, ისინი არ არიან მზად იმისთვის, რომ არ მოენატროთ.**

— კი, მე ვიცნობ ასეთ ხალხს. იგივე ხოსონკო ავილოთ. ახლა მას სახლი აქვს ამსტერდამში. მაგრამ ძველებურად ცხოვრობს, რუსეთში. გაზეთებსაც რუსულს იწერს. ეს საშინელი გაორებაა.

დიალოგი მონოლოგში გადაიზარდა... მაგრამ მე მესმოდა ჩემი თანამოსაუბრის, ეს მას ხელს აძლევდა... იგი ყოველ სიტყვაში აქსოვდა ძლიერ გრძნობებს: ყოველთვის ასეთი იყო — გრძნობასა და აზრს არ აცალკევებდა.

— მენატრება თუ არა? — განაგრძობს იგი. — იცით, რას გეტყვით, ამას რაღაც სხვა ჰქვია. უფრო რთული. მე არ მომნატრებია. სხვებისგან განსხვავებით, მაშინვე მქონდა ბინა. მაგრამ, უეცრად აღმოჩნდა, რომ მე იქ დაძინება არ შემეძლო. გესმით თუ არა, დაძინება არ შემეძლო! ძილის წინ უცებ გრძნობ რომ არაფერი არ გაკავშირებს ხვალინდელ დღესთან. თითქოს აზრიც არა აქვს ხვალ გაღვიძებას. მარტო არ შეგიძლია... ალბათ ამიტომაც დავუკავშირდი ქალს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩემზე უფროსია... ბევრმა გადაიტანა იგივე, არ შეეძლოთ ძილი. არ შეეძლოთ მარტოობასთან ბრძოლა. ბევრი საგიჟეთშიც კი აღმოჩნდა.

ემიგრაციას ზოგი ჰაობს ეძახის, ზოგი — ტრაგედიას, მაგრამ ეს უფრო რთული მოვლენაა. ახლა ემიგრაცია მთელი მსოფლიოსთვის ყველაზე მტკივნეული საკითხია, სწორედ ჩვენი, თუმცა არა, თქვენი სახელმწიფოს პოლიტიკის გამო დაიძრა მილიონობით ხალხი თავისი საცხოვრებელი ადგილებიდან. უნგრელები, ჩეხები, რუმინელები, ბულგარელი თურქები... კამბოჯაში და ვიეტნამშიც იგივე ხდება. ეს ტრაგედიაა.



ყველაფერი უფრო რთულია. ყველას თავისი მიზეზი აქვს. ზოგი პოლიტიკური მოტივით გარბის, ზოგი — ეკონომიურით. სპასკი ავილოთ. რაც უნდა ილაპარაკოს, სინამდვილეში იმისთვის წავიდა, რომ ფულთან „უფრო ახლო“ ყოფილიყო. ზოგი პირადი აუწყობელი ცხოვრების მიზეზით მიდის, ზოგს ბედის იმედი აქვს, მაგრამ იქაც არ უმართლებს და ისინი სიამოვნებით დაბრუნდებოდნენ უკან. ყოველი მესამე დაბრუნდებოდა, გასვლა და შემოსვლა თავისუფალი რომ იყოს.

**— დარწმუნებული ხართ?**

— დარწმუნებული... არის ემიგრანტების კიდევ ერთი კატეგორია, თუნდაც იმავე „პოსევიდან“. დაბრუნება არ შეუძლიათ და ილუზიების სამყაროში ცხოვრობენ. სულ იმის მოლოდინში არიან, როდის შევლენ მოსკოვში თეთრ ცხენზე ამხედრებული. სამშობლოში პროკლამაციებს გზავნიან საჰაერო ბურთით. სასაცილოა! სამშობლოსთან კავშირი საჰაერო ბურთის მეშვეობით?! როდესაც ახალ ემიგრანტს ვხვდები, სულ მინდა ვკითხო: „სად მიდიხარ? არც ენა იცი, აღარც ...ენერგია შეგრჩა“.

**— თქვენი წასვლის საკითხიც ბურუსითაა მოცული. ბევრი რამ მეც არ მესმის.**

— რა არის აქ გაუგებარი? მე ხომ მაგდებდნენ!

**— ეს როგორ გავიგოთ?**

— თქვენ რა, არ გახსოვთ, რომ მდევნიდნენ? აღარ მიშვებდნენ ტურნირებზე. ჩემთან მეგობრობისა კი არა, ლაპარაკისაც ეშინოდათ. გარშემო სიცარიელე იყო.

**— მე მგონია, ცოტას აჭარბებთ.**

— როგორ გეკადრებათ! ლენინგრადში თავს ისე ვგრძნობდით, როგორც უდაბნოში...დიახ, ეს იყო უდაბნო! ყველაზე ნაკლებად ახლა ლენინგრადში ჩასვლა მინდა!.. მოთმინების ფიალა კი იმით აივსო, რომ სიტყვის უფლებაც ჩამომართვეს. ჩემთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანებთან ურთიერთობას, მიყვარს აუდიტორიებში გამოსვლა. მაშინ კი ყველა ჩემს გამოსვლას სათანადო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. დაიწყო ქალაქკომში და რაიკომში უთავბოლო გამოძახებები, მთხოვდნენ ანგარიში ჩამებარებინა თუ რას ვამბობდი და რატომ. ამას მოჰყვა ბინძური წერილი „სოვეტსკი სპორტში“. მე მივხვდი, რომ ამით ყველაფერი დამთავრდა.

**— მახსოვს ერთი საუბარი თქვენსა და სპასკს შორის. თქვენ ეუბნებოდით, რომ საჭიროა იმის დაფასება, რაც მოჭადრაკეებისთვის კეთდება, რომ ისინი სხვებზე უკეთ ცხოვრობენ, ბევრს მოგზაურობენ. გაქვთ თუ არა თქვენ, როგორც ბლოკადაგამოვლილსა და უმამოდ გაზრდილს, რომელმაც, მიუხედავად ამისა, ცხოვრებაში წარმატებას მიაღწია, დანაშაულის შეგრძნება?..**

— ვის წინაშე?

**— ეს სიტყვა ვიხმაროთ... სამშობლო. სამშობლოს წინაშე!**

— ხომ არ გავვესეირნა? წავიდეთ პარკში, ბალახზე გავიაროთ. აქ ეს შეიძლება. აქ ყველაფერი ადამიანისთვისაა.

მწვანე ბილიკს გავუყევით.

— სამშობლოსთვის, რაც შემეძლო ყველაფერი გავაკეთე, რაც უნდა იყოს, მე ოლიმპიადებზე ვიმარჯვებდი... მაგრამ უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნია ის, რომ სიტყვით ვუხსნიდი ხალხს სიმართლეს... და სწორედ მაშინ, როდესაც სიტყვის თქმის უფლება წამართვეს, მივხვდი, რომ სამშობლოს აღარაფერში გამოვადგებოდი. საკუთარ თავს ვუთხარი: მე აქ, უფრო სწორად — იქ, აღარაფერი მესაქმება.

გვერდით ხეივანში ბორის სპასკი სეირნობდა. ჩვენს დანახვაზე გაჩერდა, გაკვირვებულმა გაშალა ხელები და ხმამაღლა, ისე, რომ ჩვენ გაგვეგონა, თქვა: „თექვსმეტი წლის შემდეგ!“ ყველას გაგვეცინა. იგი მოგვიახლოვდა, ხელი გაუწოდა კორჩნოის და ისეთივე ლაღი ტონით უთხრა:

— გამარჯობა, არწივო!

კორჩნოიმ ხაზგასმულად ოფიციალურად, მშრალად უპასუხა. ცოტა ხანში სპასკი გაგვცილდა. კორჩნოიმ დაფიქრებული მზერა გააყოლა და განაგრძო:

— ერთი შეხედვით, ჩვენ ერთნაირი ბედის ხალხი ვართ და ერთმანეთს მხარში უნდა ვედგეთ, მაგრამ ეს ასე არ არის, მეტსაც გეტყვით, მე ახლა მის წინააღმდეგ გამოვდივარ მისი ფაშისტური ინტერვიუს გამო, სადაც იგი სიტყვა-სიტყვით იმეორებს ალიოხინის ფაშისტურ შეხედულებებს. 1943 წელს ალიოხინი ერთ-ერთ ნაცისტურ გაზეთში წერდა, რომ არსებობს ჭადრაკი არიული და ებრაული. თავი დავანებოთ ალიოხინს. ომი იყო, ის ამით ცხოვრობდა, ისიც შესაძლებელია, რომ სხვის დაწერილს მოაწერა ხელი. სპასკი კი ამას 1990 წელს წერს.

**— რა მოხდა საჭადრაკო ასამბლეაზე?**

— მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, გაიმარჯვა დემოკრატიამ! ყველამ კასპაროვის წინააღმდეგ გაილაშქრა. საქმე ისაა, რომ კასპაროვი შეიძლება იყოს მხოლოდ დიქტატორი, სხვა არაფერი! დასავლეთში კი ამაზე არავინ დათანხმდება, ამას არავინ მიიღებს. დიდოსტატების ასოციაცია საერთაშორისო ორგანიზაციაა და არა საბჭოთა. ეს კასპაროვს არ უნდა ავიწყდებოდეს! თქვენ გიამბეს სპასკის გამოსვლის შესახებ?

**— არა.**

— მას, როგორც ყოველთვის, არ ჰყოფნიდა სიტყვის მარაგი, არსი კი ჭეშმარიტი იყო, მან თქვა, რომ საქციელით კასპაროვი ტიპიური ბოლშევიკია და მისი საქმიანობა სამ ბოლშევიკურ პრინციპს ემყარება: პირველი — ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენს წინააღმდეგაა! მეორე — თუ მტერი არ ნებდება, მას ანადგურებენ! და მესამე — არ ვიცით, რას, მაგრამ ბოლომდე მივიყვანთ! კარგი ნათქვამია, არა?

**— ჭადრაკში კასპაროვი... გენიოსია?**

— ...კარგია! ინტელექტის თვალსაზრისით ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონი ასეთი უნდა იყოს... რიკაობაში მსოფლიო ჩემპიონისგან განსხვავებით. რაც დრო გადის, უფრო ვაფასებ კასპაროვს. იგი თავად ჭადრაკის პროპაგანდაა! მასთან შედარებით ფიშერი ხომ ერთუჯრედიანი არსებაა. ჭადრაკი რომ არ ყოფილიყო, არავინ უწყის, ვინ იქნებოდა ეს ადამიანი. კასპაროვი კი დღეს ყველაზე ერთი თავით მაღლა დგას. რატომ ეშინოდათ ჩემი იმ მსოფლიო ჩემპიონებს — სპასკის, ტალს, პეტროსიანს? მე ხომ მათ ადამიანებად არ ვთვლიდი, ყველა ტურნირში ორ-ორი ქულით ვუსწრებდი! ესენი იყვნენ ჩემპიონები?

**— ადრე ფიშერზე სხვაგვარად ლაპარაკობდით...**

— მერე რა, რახან ვიცვლი შეხედულებებს, ესე იგი ვვითარდები. მოდით, ასე ვიტყვი: გისურვებთ სამოცი წლის ასაკშიც ვითარდებოდეთ.

იგი ჩაფიქრდა, შემდეგ განაგრძო:

— არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ყოველი ჩემპიონი თავისი დროის პირმშოა. კასპაროვიც ასეა — დღევანდელი გიჟი დროის და ქვეყნის პირმშოა. თქვენ ეთანხმებით ასეთ კონცეფციას?

**— არ ვიცი...**

**„მეგაპოლის-ექსპრესი“, № 11, 1990 წ.**

# რას იტყვის თემიდა

**ზოგჯერ** თემიდა ულმობელია სპორტსმენის მიმართ — დიდების ზენიტში მყოფს ოდნავადაც არ დაინდობს და ვარსკვლავს, ჩამქრალ მეტეორად აქცევს. ხშირად იგი ისეთ გამოჩენილ ათლეტებს დარევს ხელს, რომელთაც მეტოქეთა დამარცხება, რომ იტყვიან, ჩირადაც არ უღირთ. ამდენად მათი გამოსვლა სარბიელზე რიტუალი უფროა, ვიდრე მძიმე ბრძოლა და უცებ... სწორედ ასეთი დიდების მწვერვალზე მყოფი „გაწირა“ ქალღმერთმა ცნობილი ამერიკელი მძიმე წონის მოკრივე მ. ტაისონი, რომელმაც ამ ზამთარს პროფესიონალთა შორის ერთდროულად მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის სამივე ტიტული დაკარგა. 23 წლის მაიკმა უძლიერესის სახელი ჯეიმს დუგლასს დაუთმო. ხშირად ასეთ სენსაციურ მარცხს არანაკლებ სენსაციური ჭორები მოსდევს და არც „მიკი“ დაინდო ამ ხმებმა, რომლის გაქარწყლება მოუხდა მისი ბრძოლების ორგანიზატორს. კერძოდ, მან უარყო ჭორი იმის შესახებ, რომ გაწბილებული ტაისონი სასმელს მიეძალა და წყალში თავის დახრჩობაც სურდა. თვით მ. ტაისონს კი ეს დამარცხება რევანშის წყურვილით ალავსებს: „ვატყობ, რომ ბევრს ვეცოდები. არ მწამს მათი, ვინც უკვე დაკარგა ჩემდამი რწმენა. 5 წელი დავყავი პროფესიულ რინგზე და ამ მცირე დროის განმავლობაშიც შესამჩნევი კვალი დავტოვე — 37 მეტოქე გავლახე, 40-ს გავლახავ კიდევ, — ასეთია ჩემი უახლოესი გეგმები“ — განაცხადა ექსჩემპიონმა.

მას, რომ იტყვიან, ძალა შესწევს ქადილისა, მაგრამ ბევრს გაუკვირდა, ტაისონმა დუგლასთან რევანშისათვის მზადების ციკლში პირველ მეტოქედ ოლიმპიელი ჰენრი ტილმანი რომ აირჩია. თუცა ისიც გაიხსენეს, რომ 8 წლის წინათ სწორედ ამ მოკრივემ გამოთიშა ამერიკის ოლიმპიური ნაკრების პრეტენდენტობიდან ტაისონი. ამჯერად კი ტაისონს სულ ორიოდე წუთი დასჭირდა მეტოქის ნოკაუტით დასამარცხებლად.

მაყურებლის კიდევ უფრო დიდი ინტერესი გამოიწვია ფორმენ-როდრიგესის ორთაბრძოლამ. გაიმარჯვა 42 წლის ჯორჯ ფორმენმა. რინგზე დაბრუნების შემდეგ მან 22 ბრძოლა მოიგო, თანაც ყველა ნოკაუტით. ასე რომ, 1973-1974 წლების მსოფლიო ჩემპიონს სრული უფლება აქვს ხმა აღიმაღლოს სამეფო გვირგვინის დასაბრუნებლად. ის ხომ 10-წლიანი განშორების შემდეგ დაუბრუნდა სარბიელს და ახლა ჩემპიონობის ერთ-ერთ რეალურ პრეტენდენტად ითვლება. სხვათა შორის, რინგთან განშორების ეს 10 წელი ფორმენმა ღვთისმსახურებას მოანდომა.

ახლა კრივის მოყვარულები ელიან ტაისონ-ფორმენის მატჩს, რომელიც სექტემბერში უნდა გაიმართოს. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ამ ბრძოლის კომერციული მხარე ტაისონ-დუგლასის სარევანშო შეხვედრის ფინანსურ მაჩვენებელზე გაცილებით მაღალი იქნება. და მაინც, ამ შერკინებისადმი სპორტული ინტერესი ჭარბობს. ვნახოთ, რას იტყვის ამჯერად თემიდა.

### ნორჩები

## ვეტერანებმა შეცვალეს

**მოსკოვი.** ნორჩ ჩოგბურთელთა ევროპის ჩემპიონატს, რომელიც ამ დღეებში ლუჟნიკის კორტებზე დამთავრდა, მოჰყვა ვეტერანთა არანაკლებად საინტერესო შეჯიბრება — მოსკოვის პირველი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც გამოდიან ავსტრიის, იტალიის, აშშ-ს, გფრ-ის, იუგოსლავიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

საბჭოთა გუნდში ყველაზე ტიტულოვანი ჩოგბურთელები არიან ქვეყნის ექსჩემპიონები გალინა ბაკშეევა და სერგეი ლიხაჩოვი. ტურნირი ერთ კვირას გასტანს.

# სექტემბერს ნიუ-იორკსა და ლიონში

**მურსია (ესპანეთი).** მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში გარი კასპაროვი გულმოდგინედ ემზადება ანატოლი კარპოვთან შეხვედრისათვის. ეს მატჩი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონს დაასახელებს, ორი თვის შემდეგ შედგება. მანამდე კი... ჩემპიონმა საწვრთნელი შეხვედრა გამართა ლევ ფსახისთან (ისრაელი) და გაიმარჯვა ანგარიშით 5:1. კასპაროვმა მოიგო პირველი, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე პარტიები, ორი პარტია კი ყაიმით დაამთავრა.

კარპოვი მზადების პროცესში უპირატესობას სატურნირო ბრძოლებს ანიჭებს. იგი ამჟამად შვეიცარიის ქალაქ ბილეში იმყოფება და იქ მიმდინარე შეჯიბრებაში მონაწილეობს.

მატჩი ჩემპიონსა და პრეტენდენტს შორის (სექტემბერი), რომელსაც ნიუ-იორკი და ლიონი უმასპინძლებს, ამ მოჭადრაკეთა მეხუთე ორთაბრძოლა იქნება.

# სტიქიასთან მებრძოლი ქალი

**ნიუ-იორკი.** ატლანტის ოკეანის გადაცურვა იალქნიანი ნავით, მარტოდმარტო საკმაოდ რთული და სარისკო საქმეა. ამის მიუხედავად თავზეხელაღებულთა რიცხვი მსოფლიოში წლითი წლობით მატულობს. აფროსნებს, როგორც წესი, ერთი მიზანი ამოქმედებთ — გააუმჯობესონ წინამორბედთა შედეგები. დღეისათვის ოფიციალურ მსოფლიო რეკორდად ითვლება 11 დღე, 11 საათი და 47 წუთი. ამდენ ხანს ებრძოდა 1987 წელს სტიქიას ფრანგი ბრიუნო პეირონი. ახლა რეკორდის გაუმჯობესება განიზრახა ფრანგმა ქალმა ფლორანს არტიმ.

გასულ სამშაბათს გაბედულმა „მოგზაურმა“ სტარტი აიღო ნიუ-იორკში და ინგლისის ნაპირებისკენ გაემგზავრა. რეკორდი რომ გაუმჯობესდეს არტიმ ლიზარდის კონცხს (სამხრეთ ინგლისი) უნდა მიაღწიოს არაუგვიანეს 4 აგვისტოს, 14 საათისა და 21 წუთზე.

**რედაქტორის მაგიერ**
**თ. მიბრიაული**

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ლ. ჯავახიშვილი. კორექტორები მ. ძეძამიძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
[illegible] — 380096,
[illegible], ვ. კოსტავას ქ. 14,
[illegible] — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
ხაზლვანი — 93-97-62,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„მერანი“ — 93-97-20, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით ხაზგვით კორპუსში: [illegible], 20.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 00356